

ფინანსები, განკაპი, პირქანი

ფინანსური თაღლითობის ერთი მაგალითის შესახებ. ანუ ინტერიგა ფასიანი ქაღალდებით

რუსუდან პაპასკირი
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის
პროფესიონალური

ბაფის პროფესიული სერტიფიცირების 2011 წლის ივლისის გა-
მოცდების ერთ-ერთ ტესტშიდასმულ კითხვას – „რომელი შემთხვე-
ვა შეიძლება მიჩნეული იქნეს, როგორც წესი, თაღლითობად?“ ი
ოთხი ასეთი სავარაუდო პასუხი ჰქონდა:

- ა) ბუღალტრის შეცდომა გადასახადების დაანგარიშებისას;
- ბ) აუდიტის კომიტეტის უუნავობა, შეისწავლის და შეაფასოს
საეჭვო გარიგება;
- გ) დირექტორის მიერ შემოსავლების ხელოვნურად გაზრდა;
- დ) საერთაშორისო სტანდარტების დარღვევა.

ჩატარებული გამოცდების ანალიზმა აჩვენა, რომ სტუდენტების
უმრავლესობას შემოხაზული ჰქონდა მეოთხე – „დ“ სავარაუდო პა-
სუხი. გამოცდების შედეგების ანალიტიკოსი ბ. ალავერდაშვილი
„დ“ პასუხის არასწორობას სტუდენტებს ასე უსაბუთებს: „მსავასი
შეკითხვა წინა გამოცდაზეც მოვიდა და ახლაც გავიმეორებთ, რომ
ACCA-ის კურსის ფარგლებში ხშირად მიმართავენ სტანდარტებს.
ეს არ ნიშნავს, რომ პასუხის არჩევისას ეს მაგიური ტერმინი (ავ-
ტორს მხედველობაში აქვს ტერმინი „სტანდარტი“ – რ. პ.) უნდა
მონიშნოთ მხოლოდ იმიტომ, რომ გვინიათ, ამის მოსმენა სურთ
გამომცდელებს. უბრალო ლოგიკა მიგვანიშნებს, რომ შემთხვევი-
თი შეცდომა, თუნდაც ამით სტანდარტი დაირღვეს, თაღლითობის
დასამტკიცებლად საკმარისი მტკიცებულება არ არის, თუ არ

1 ბ. ალავერდაშვილი, ბაფის პროფესიული სერტიფიცირების 2011 წლის
ივლისის გამოცდების ანალიზი, ჟ. „ბუღალტრული ალრიცხვა“, №8, 2011. გვ. 6.

ჩანს განზრახვა და გარკვეული სიკეთის მიღების სურვილი. ასეთი განსაზღვრა და სურვილი კი მხოლოდ „გ“ პასუხში მოიაზრება.

მე შევეცადე გამერკვია, რატომ ხდება, რომ ყოველ წელს ამ გამოცდებზე გასული სტუდენტების უდიდესი უმრავლესობა სწორედ „გ“ პასუხს არ მიიჩნევს თაღლითობად. ამის გასარკვევად, უპირველესად, განვმარტოთ, თუ რა არის თაღლითობა. თაღლითობა, ეს არის ქმედება, რომელიც მის „შემოქმედს“ უკანონოდ აძლევს რაღაცა სარგებელს. ახლა ვიმსჯელოთ იმაზე, თუ რა სარგებელს მისცემს საქართველოს კომპანიებს შემოსავლის ხელოვნური გაზრდა, ანუ შემოსავლის გაზრდა, ფიქტიურად, მხოლოდ ქალალდზე (ბუღალტრულ ჩანაწერებში). ჩემი აზრით, რადგან გაზრდილი შემოსავალი სამეურნეო სუბიექტს აქცევს მაღალი დაბეგვრის ობიექტად, ასეთი ოპერაცია მას სარგებელს კი არა, ზარალს მისცემს. ასეთ შემთხვევაში მას მოუწევს იმ შემოსავალზეც კი მოგების გადასახადის გადახდა, რომელიც მას პრაქტიკულად არ მიუღია. ჩვენ სწორედ ასე ვასწავლით სტუდენტებს თეორიულადაც და პრაქტიკულადაც.

მაშ რა ხდება, რატომ ვასწავლით ერთს და ვთხოვთ მეორეს? ამის მიზეზი არის საზღვარგარეთის პრაქტიკის გავლენა. ეს ისე არ უნდა გავიგოთ, რომ თითქოს იქ გაზრდილ შემოსავლებზე გადასახადი არ ეზრდებათ, ან პირიქით – უმცირდებათ. სრულიადაც არა. იქ მოგების გადასახადის განაკვეთიც კი რანჟირებულია შემოსავლის სიდიდის მიხედვით (რაც ჩვენთან არ არის) და რაც მეტია შემოსავალი, მით მაღალია მოგების გადასახადის განაკვეთი. ეს იმას ნიშნავს, რომ შემოსავლის ხელოვნური გადიდებით იქაური კომპანია უფრო მეტად დაზარალდება, ვიდრე საქართველოში მოქმედი კომპანია. ამის მიუხედავად, ევროპის და ამერიკის კომპანიები (კერძოდ, მსხვილი კორპორაციები) ამ მსხვერპლზე მიდიან და იყენებენ აღრიცხვების საერთაშორისო სტანდარტების ყველა „ხვრელებს“ ოპერაციული შემოსავლების ხელოვნურად გასაზრდელად. თუ რა სარგებელი აქვთ მათ ამით, და, მაინცდამაინც რატომ ოპერაციულ შემოსავლებს ზრდიან და არა არაოპერაციულს, ამაზე ქვემოთ მექნება საუბარი.

შემოსავლების ხელოვნურად ზრდის მაქინაციებს, ძირითადად, ადგილი აქვს ამერიკის და ევროპის მსვილ კორპორაციებში. ამის

მაგალითები მოხდა კომპანიებში: „McDATA“ (2004 წელს), „Centrall Squarch Corporation“ (1993 წელს), „Breightpoint Inc“ (1998 წელს), „THQ Inc“ (2005 წელს), „Time Warner Telecom“ (2007 წელს), „Marvell Xerox“, „Time Warner Telecom“ (2007 წერლს). მათთან დაფიქსირდა შემოსავლის მექანიკურად ზრდის და საამორტიზაციო ხარჯების ხელოვნურად შემცირების მრავალი ფაქტი,¹ ეს ის კომპანიებია, რომელთა აქციები იყიდება ნიუ-იორკის, ტოკიოს და ლონდონის ბირჟებზე, სადაც გასაყიდად გამოტანილი აქციების ფასები, და საბოლოო ჯამში, ემიტენტ-კომპანიების საბაზრო ღირებულება დამოკიდებულია ამ კომპანიების ფინანსურ მდგომარეობაზე, რა-საც, ძირითადად, მაღალი საოპერაციო შემოსავალი და, აქედან გამომდინარე, საოპერაციო მოგება აპირობებს. ყოველივე აქედან გამომდინარე, საზღვარგარეთის მსხვილი კორპორაციები მუდმი-ვად ცდილობენ საკუთარი შთამბეჭდავი სურათი შექმნან ბირჟაზე და ამით ინვესტორები მოიზიდონ. მაშასადამე, შემოსავლების ხე-ლოვნური ზრდა, მართალია, მათ დასაბეგრ ბაზას უზრდის, მაგრამ უმაღლებს საინვესტიციო მიმზიდველობას, რომელიც, როგორც ჩანს, მათ უფრო მეტი უდირთ, ვიდრე „ხელოვნურად შექმნილ შე-მოსავალზე“ გადახდილი გადასახადი.

რადგან საქართველოში საფონდო ბირჟა არ მუშაობს, ამი-ტომ საქართველოს საქციო საზოგადოებებს, რომელთა აქციები კოტირებულია ბირჟაზე, ყალბი პიზიტიური ფინანსური ანგარიშ-გებების ხელოვნური სურათის შექმნის ცდუნება არ გააჩნიათ. უფრო – პირიქით: ისინი შემოსავლის არა ზრდის, არამედ შემცი-რების „ხვრელებს“ ეძებენ. ასე რომ, საქართველოში ვერ იპოვით ფირმას, რომელიც შემოსავლის ხელოვნური ზრდის მაქინაციებს ასრულებს. შემცირების მცდელობებს კი ხშირად აფიქსირებენ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური და კონტროლის პალატა. საქართველოში, ძირითადად, ეს ორი ორგანო ახორციელებს კომპანიების ფინანსურ კონტროლს. ასეთ დროს ევროპასა და ამერიკაში ასეთი ქმედებების პრევენციისა და აღმოფხვრისათვის მრავალი სახელმწიფო და კერძო ორგანიზაცია მუშაობს (აშშ-ში: SEC U. S. Securities and Exchange Commission, Fi-

1 შ. შალაშვილი, ფინანსური მაქინაციები და მათი აღმოფხვრის გზები – მსოფლიო პრაქტიკა, ჟ. „ბულალტრული აღრიცხვა“, №6, 2011. გვ. 32-36.

nancial research and Analysis და სხვ.; ევროპაში: European Securities and Markets Authority და სხვ.). მათ უფლება აქვთ, ჩაატარონ და-მოუკიდებელი საგამოძიებო პროცედურები და აღმოჩენილ თაღ-ლითობასა და მაქინაციებს დააკისრონ სათანადო სამართლებრივი პასუხისმგებლობა.

ასე რომ, ჩემი აზრით, მანამ სანამ საქართველოში საფონადო ბირჟა სრულფასოვნად არ ამუშავდება, კომპანიები არ დაინ-ტერესდებიან მექანიკურად გაზრდილი შემოსავლების ჩვენებით და თუ ასეთი მაინც მოხდა, ის არა თაღლითობად, არამედ დაშვე-ბულ შეცდომად უნდა ჩაითვალოს. საქართველოს პირობებისთვის თაღლითობად უნდა ჩაითვალოს ხელოვნურად შემცირებული შე-მოსავალი, რასაც მრავალი კომპანია ორმაგი ბუღალტერიის წარ-მოებით ახერხებს.

რაც შეეხება არაოპერაციულ შემოსავლებს, მათი ხელოვნური გაზრდით უცხოური კომპანიები იმიტომ არ არიან დაინტერესებუ-ლი, რომ ასეთი შემოსავლების სიდიდე ინევსტორებს არ აინტერე-სებთ.